საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/118

ქ. ბათუმი 21 ივლისი, 2021წ.

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტთა სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვასთან დაკავშირებით კომისიების შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 01 ოქტომბრის №01-02/130 ბრძანების, ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 29 მაისის №01-02/52 ბრძანებისა და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 13 ივლისის N704615 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკის", „ბიზნესის ადმინისტრირების" და „ფინანსებისა და საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მიერ 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოსათვის სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვის პროცესის ჩატარების მიზნით, შეიქმნას კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

ა) ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე

1. პროფესორი ნათელა წიკლაშვილი - კომისიის თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი ნატალია რობიტაშვილი - კომისიის მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი მურმან ცეცხლაძე - კომისიის წევრი;
4. ასისტენტ-პროფესორი თამილა თურმანიძე - კომისიის წევრი;
5. მოწვეული მასწავლებელი ეკონომიკის დოქტორი ზეინაბ სურმანიძე - კომისიის წევრი.

ბ) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე

1. პროფესორი რეზო მანველიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ასისტენტ-პროფესორი ლეილა ცეცხლაძე - კომისიის მდივანი;

3. პროფესორი გელა მამულაძე - კომისიის წევრი;
4. ასოცირებული პროფესორი ბადრი გეჩბაია - კომისიის წევრი;
5. ასოცირებული პროფესორი პაატა არუშიძე - კომისიის წევრი.

გ) ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამაზე

1. პროფესორი ასიე ცინცაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი ირინა ვაშაყმაძე - კომისიის მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი გიორგი აბუსელიძე - კომისიის წევრი;
4. ასოცირებული პროფესორი ლელა ონიანი - კომისიის წევრი;
5. ასისტენტ-პროფესორი რამინ ცინარიძე - კომისიის წევრი.

2. კომისიამ იხელმძღვანელოს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით", ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 01 ოქტომბრის №01-02/130 „ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ" ბრძანებით და ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 29 მაისის №01-02/52 „2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების წარდგენისა და საჯარო დაცვის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ" ბრძანებით.
3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტს (ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელსა) და კომისიის წევრებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **ნერგან ხალვაში**